

ცვაეს, „ჩველებს“ ხალხსაო. მხოლოდ ამას გვარ სიტყვების ხმარებისათვის, ვიმეორებ, უნდა იქმნეს დასჯილი კორრესპონდენტი ჰყონია.

„დროებას“ რედაქტორის ს. ს. მესხის სიტყვა. ბ. ბ. მოსამართლენო! ბექტდითაც და აქაც, სასამართლოში, არა-ერთხელ ყოფილა გამოთქმული აზრი იმ მძიმე მდგომარეობაზედ, რომელშიაც დრო-გამოწვევით ლიტერატურას აყენებს მე-1039 მუხლი „დასჯათა წესდებისა“. ეს მუხლი კანონისა უეჭველად თხოულობს, რომ როდესაც რომელიმე მოსამსახურე პირზე რაიმე მხილება იწერება, რაიმე ბოროტ-მოქმედება იბეჭდება იმისაგან ჩადენილი, დამწერმა და რედაქტორმა ყოველთვის დაწერილი საბუთები უნდა წაიშობადინონ ამის დასამტკიცებლად.

„ძალიან, ძალიან ხშირად მოხდება, რომ რომელიმე მოსამსახურე პირის, რომელიმე ჩინოვიკის ბოროტ-მოქმედება მთელმა ქვეყანამ იცის, რომ არიან ამ ბოროტ-მოქმედების დასამტკიცებელი მოწმეები და თვით აშკარა ფაქტებიც, — მაგრამ კანონი ამ შემთხვევაში ულმობელია, ის არაფერს არ იღებს მხედველობაში, ის თხოულობს უეჭველად დაწერილ საბუთებს.

„მაგრამ მოგვხსენებათ, ბ. ბ. მოსამართლენო, რომ ახლანდელ საუკუნეში იშვიათად იპოვიან იმისთანა გულ-წრფელ და სულელ ჩინოვიკს, რომელმაც სამსახურში რაიმე ბოროტება ანუ უკანონობა ჩადინოს და ამ ბოროტების შესახებ დაწერილი საბუთები დასტოვოს, არ ეცადოს ყოველივე კვალის ამოფხვრას.

„ბევრი ბოროტ-მოქმედება დაფარულა ამ სასტიკი 1039 მუხლის წყალობით და ბევრი მართალი მწერალიც დასჯილა, რადგან დაწერილი საბუთების შოვნა ვერ მოუხერხებიათ.

„ამ შემთხვევაში იშვიათად თუ ვინმე ჩემი თანამომძე მწერალთაგანი ყოფილა ისეთს ბედნიერს გარემოებაში, როგორც მე ვარ დღეს.

„მე წარმოუდგინე სასამართლოს დოკუმენტებს და არა თუ მართო

უბრალო დაწერილ დოკუმენტები, არამედ დოკუმენტები ოფიციალური იმის დასამტკიცებლად, რომ ბ. ბალიასნის, ვითარცა მოსამსახურე პირს, არა აქვს არავითარი უფლება, რომ დაკმაყოფილება მოითხოვოს იმის „პატიოსნების და კეთილი სახელის“ შეურაცხყოფით მოხსენებისათვის გაზეთში. მამბობ ამას იმიტომ, რომ ამ ოფიციალურ დოკუმენტებში თქვენ დაინახეთ, რომ ჩვენ კი არ შეურაცხვით ბ. ბალიასნის „კეთილი სახელი და პატიოსნება“, არამედ შეურაცხვით თვითონ მან თავის ის ბოროტ-მოქმედებითა, რომლისთვისაც მთავრობამ უკვე დასაჯა ის, რომლის თაობაზედ იმის პირ-და-პირმა მთავრობამ უკვე დასჯა განჩინება.

„ბრალებულმა „დროების“ რედაქტორმა განიხილა იმისაგან წარდგენილი დოკუმენტები და სთქვა, რომ ამ დოკუმენტებით ნათლად, აშკარად მტკიცდება ყველა ის, რაც ხსენებულს კორრესპონდენტმა იყო დაბეჭდილი და რისთვისაც ბ. ბალიასნი სჩივის დღესაო. ამავე დოკუმენტებში ნახვენ მოსამართლენი დამარტყვევებს ადგილებს იმ ორი გარემოებისას, რომელიც დღეს აქ მოიხსენა ბატონმა ბალიასნიმ თავის სიტყვაში: ერთი, ვითარცა 1875 წელს გამამწესეს მეთაისის გუბ. სახაზინო მონებათა ბამგობის აგენტად, მაშინ არავითარი ცირკულიარი და დარიგება არ მქონია — თუ როგორ უნდა მოექცეულიყავ მიწების გამიყენის დროსაო. წარმოდგენილ დოკუმენტებში ნათლად სჩანს, სთქვა მესხმა, რომ ინსტრუქციები და ცირკულიარები 1869 და 1873 წელს ყოფილა გამოცემული და ბ. ბალიასნის კარგად შეეძლო იმით ხელმძღვანელობა. მეორე, ბ. ბალიასნი ამბობს, ვითარცა ის თავის ნებით გამოვიდა სამსახურში. ამის შესახებაც დოკუმენტში სწერია, რომ იმას წინადადება მისცეს, რომ თავი დაენებებინა სამსახურისათვის.

„შემდეგ ბრალებულმა ასე გაათავა თავის სიტყვა:

„ამ დოკუმენტების წყალობით აღ-

ვილად დარწმუნდებიან მოსამართლენი, თუ რამდენად მართალი იყო ბ. ჰყონია, რომელმაც დასწერა კორრესპონდენცია ბ. ბალიასნის ბოროტ-მოქმედებებზედ და რამდენად მართალი ვიყავი მე, რომელმაც დაბეჭდე ჩემი გაზეთში იგი კორრესპონდენცია.

„მე სრულიად დარწმუნებული ვარ, ბ. ბ. მოსამართლენო, რომ ჩვენ თქვენ მიერ გამართლებულნი ვავალთ ამ სასამართლოდამ და იმიტომ საჭიროდ არა ვსთვლი ბევრის ლაპარაკით თავი შეგაწყინოთ. მამართლებას ჩვენსაგანსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ახლა, ამ ერთობ მძიმე დროში, როდესაც ჟურნალ-გაზეთებს, როგორც „საბრალო მაკარს, ყოველის მხრით და ყოველ გვარი რკოები ეცემიან თავზე, როდესაც ბექტდვას ყველა უჩაქუნებს“.

ბ-ნ ა. ჰყონაამ სთქვა, რომ ის ვითომ საბუთები, რომელნიც მოწმე ბალიასნიმ მოიყვანა ბრალ-მდებელ ბალიასნის, გასამართლებელად სრულიად დარღვეულია იმ დოკუმენტებში, რომელნიც ჩვენ, „ბრალებულებმა“ წარმოუდგინეთ სამსამართლო პალატას. ამ ვითომ საბუთების დარღვევას მოხსენებულის დოკუმენტებით დავამოწმა ბ-ნი პროკურორიც თავის ფრიად სინდისიერს გამამტყუნებელს სიტყვაში, რომელშიაც იგი უარყოფს ჩვენს დანაშაულობას **სასჯელთა ზედა წესდების 1039 მუხლის წინააღმდეგ** და მასთანვე ჰფიქრობს, რომ კერძოდ მე სამოსამართლო პალატამ პასუხი უნდა მაგებიწოს თანახმად იმავე **წესდების 1040 მუხლის**, რადგანაც ამ პროცესის აღმძვრელს ჩემს კორრესპონდენტში ვითომ ნახმარი იყოს ლანძღვითი სიტყვები: **грабешъ, грабилъ** და სხვა ამ გვარები. ამ მიზეზების გამო საჭიროდ არა ვსთვლი კიდევ თავი გავიმართლო პალატის წინაშე იმ ბრალდების წინააღმდეგ, რომლისაგან ცალკე დოკუმენტები მამართლებს და ცალკე ბ-ნი პროკურორი. მხოლოდ რაც შეეხება ჩემგან პასუხისგებას **1040 მუხლის**ამებრ, ამაზე სამოსამართლო

პალატას ვსთხოვ შემდეგს: რადგანაც ის კორრესპონდენცია „დროებაში“ იყო დაბეჭდილი **სამსახურის წინააღმდეგ** და ამ ხანგრძლივობის გამო მე აღარ მახსოვს იმაში ნახმარი ცალკე სიტყვები, ასე რომ ნამდვილად არ ვიცი რამდენად მართალია პროკურორის ბრალდება, რომელიც სჯის რუსულის თარგმანის თანახმად და ეს თარგმანი კი შეიძლება შეცდომით იყოს, — სამოსამართლო პალატამ წააკითხინოს იმ კორრესპონდენტის ორიგინალი.

ბ-ნ პროკურორმა მოახსენა პალატას, რომ მისის აზრით, ცხლა გვიან არის ამ თხოვნის განცხადება. თუ თარგმანის წინააღმდეგ რავე ჰქონდა სათქმელი ბრალდებულს, მაშინ უნდა გამოეცხადებინა, როდესაც იმ თარგმანს ჰკითხულობდნო.

ეს მოხსენება შეწყნარებულ იქნა და არ წაუკითხავთ კორრესპონდენტის ორიგინალი.

ამის შემდეგ სამოსამართლო პალატამ დააღინა სამი კითხვითი მუხლი 1) დამნაშავეა, თუ არა „დროების“ რედაქტორი სერგეი სიმონის-ძე მესხი იმაში, რომ დაეჭდა თავის გაზეთში ჩინოვიკის ბალიასნის წინააღმდეგ შეურაცხყოფითი კორრესპონდენცია? 2) დამნაშავე თუ არა, ამავე გაზეთის კორრესპონდენტი ილია მიროანის-ძე ჰყონია, რომ ეს კორრესპონდენცია დასწერა? და 3) თუ ამაში არა, იმაში ხომ არ არის ბ-ნი ჰყონია დამნაშავე, რომ თავის კორრესპონდენტში უშვერი სიტყვები იხმარა ბალიასნის შესახებ?

მოსამართლენი გავიდნენ მეორე ოთახში განჩინების დასადგენად და ნახევარი საათის შემდეგ გამოიტანეს განჩინება, რომელიც ჩვენმა კითხვებმა უკვე იციან, ესე იგი რომ ბრალებულნი გამართლებულნი იარაღს სამსამართლოსაგან და ხარჯი, რაც ამ საგანზე მოხდა, სახაზინოდ ჩაითვალოს.

ბ-ნმა ბალიასნი, ამ განჩინების მოამენის შემდეგ, „პრაგონის“ ფული სთხოვე სასამართლოს...

მეურნეობა, როგორცაც ყოველივე აღებ-მიცემა, დროთა ვითარებით უნდა წინ მიდიოდეს, გაუმჯობესების კვალს ადგენ, ანდა უკან იხევდეს, მცირდებაოდეს ვითარებაში, მიხედვით იმ გარემოებათა, რომელნიც მასზე მოქმედობენ. მაგრამ აროდეს არ შეიძლება იგი დარჩეს უძრავად ერთსა და იმავე ვითარების ხარისხზე.

ამ უკანასკნელის ოცი წლის განმავლობაში მიენიჭა ჩვენს მხარეს ისეთი ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებანი, რომელთა შემდეგ მეურნეობას აუცილებლად უნდა დასტოვობდა მცირე წარმატება, მცირე პროგრესული მოძრაობა მაინც. მაგრამ განიხილეთ აწმყო მარბეველური სისტემა ჩვენის მეურნეობისა; მიიწვიეთ ხელთ-მძღვანელად სამეურნეო სტატისკა; მიიღეთ მხედველობაში

სიმრავლე უზომო ვალ-ქვეშ მკენსავი მამულებისა და საერთოდ არაფრით მოსაწონი მდგომარეობა ჩვენის გლეხკაცობისა, და თქვენ ცხადად დაინახეთ მძიმედ დაბურულს სურათს ჩვენის მეურნეობისას.

მართალია, კიდევ არსებობენ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში რაოდენიმე მძიმე მიზეზნი, რომელთა გავლენა, უეჭველია, დააბრკოლებს მეურნეობას ეწიოს ჩქარის ნაბიჯით თავის დანიშნულ სიბრწყინვალეს. ეს მიზეზნი იმდენად რთულნი არიან, რომ მათი დაწვრილებით შეხება აქ სრულიად უადგილო იქნება და მხოლოდ მათი მოთვლა სათითაოდ — უსარგებლო; და რადგანაც მეურნეობის უმაღლეს ხარისხსა და იმ მეურნეობის მდგომარეობას შორის, რომელსაც არ შეუძლიან ერს დაუცვას მოსავლის მცი-

რედი, თვალ-გადაუწვდენელი სივრცე ძევს, იძულებული ვართ დაეკმაყოფილდეთ მცირედით და მივათითოთ იმ მიზეზზედ, რომელიც ჩვენს მეურნეობას მავარის ჯაჭვებით აბამს, აუძღურებს და შეუწყალებლად სჯის ქართველებს.

ეს მიზეზი არის სრული გულ-გრილობა ჩვენი მებატონეთა მეურნეობაში წარმატებისა, მათი უთავბოლო და უანგარიშო განმგეობა მამულებისა. უდიდეს გომობად ვრაცხ ჩვენს წინაპართა და აგრეთვე მომავალ შთამომავლობის წინაშე, რომ ჩვენს მამულებს ასე მცირე ყურადღებას ვაქცევთ და თითქმის მტრულად ეკიდებით წინაპართაგან სისხლით და ოფლით შეძენილს უხეს ქონებას.

შევხედოთ ჩვენს ტყეებს და მინდვრებს.

ნუ თუ იმიტომ ამხნევებდა ჩვენს წინაპართა ყოველივე მიჭირვებაში ტყეთა სიმშენიერე და აუარებელი მათი სიმდიდრე, რომ მათმა შთამომავლობამ დაჰკარგოს არაძკ თუ მხოლოდ უკანასკნელი გრძობა მათდამი, არამედ საკუთარი სარგებლობის ნიჭიერებაც, და დასაკმაყოფილებლად თავიანთ განცხრომითი ცხოვრებისა უძვირფასესი ტყენი შეჰქმნას ცეცხლისა და ცულის მსხვერპლად?

ნუ თუ იმიტომ უმზადდებდნენ ჩვენი სახანა-სათესნი სანოვავეს ჩვენს ვაჟკაცთ წინაპართ, და მათ უზრდიდნ სალაშქრო რაშთა, რომ მათივე შთამომავლობა კიდევ დასაკმაყოფილებლად თავისი ფუფუნებითი ცხოვრებისა დაუწყებს უკანასკნელ მიწის ნაყოფიერების ძალას წურბელასებრ წოვნას, და არ ეცდებოდა ცხოვრე-

ახალი ამბები.

მოგახსენებთ, რომ ამ ქამად უმაღლესს მთავრობას სჯა აქვს ძაგ-კასიის გამგეობის შეცვლაზე: ძაგ-კასიის სამოქალაქო გამგეობის წესის შეცვლაზედ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, პეტერბურგში დაიბარეს ნამესტნიკის მთავარ სამმართველოს დეპარტამენტის დირექტორი ბ. პ. პესჩუროვი.

* *

იმავე დღეს (15 დეკ.), რა დღესაც ჩვენი და ბ. ბალიანის საქმე განიხილა მთ. სამოქალაქო პალატამ, ამავე პალატაში დანიშნული იყო აგრეთვე საქმე ვახუშტის „მზობრის“ რედაქტორის ბატონ ნ. ნიკოლაძისა, რომელსაც სურამის მოპრიგებელი მოსამართლე ბ. ძაფაფოვი უჩიოდა ვახუშტის შეურაცხყოფაზედ.

პალატამ გარდაწყვიტა, რადგანაც ეს მეორედ არის, რომ ნიკოლაძე არ გამოცხადდა სასამართლოში, ამის გამო ხელწერილას ჩამორთმევის მაგიერ, 500 მანეთის თავდებობა გამოერთვას, რომელიც გადახდეს თუ შემდგომში, როცა კიდევ დანიშნება იმის საქმე, არ გამოცხადდეს.

* *

ზავილი ოქტომბრის 15-ს მთ. სატუსალოდამ გაქცეულა ერთი ავაზაკი სტ. იაშაღვილი, ტაბახმელელი. ამ რიცხვიდამ ერთობ ხშირად ხდებოდა სხვა-და-სხვა გვარი ცარცვა და ქურდობა ქაჯორისაკენ. ამის დაჭერისათვის მთავრობას დიდი მეცადინეობა ჰქონდა. ამ ნოემბრის 14, ღამით, ხსენებული ავაზაკი დაუტუსალებია ურიადის ქაჯორის პოსტისა ჩოჩიშვილს ს. ლილოს იათაღებში და წარუდგენია უფლის უფროსისათვის.

„დროების“ კორექსიონი

სურამი, 15 დეკემბერს. არა ერთჯერ წავიკითხავს „დროებაში“ და სხვა გაზეთ-ჟურნალებშიაც შენიშვნები და საჩივრები ადგილობრივ მოსამართლე ბ-ნ ძაფაფოვზე; მაგრამ, სა-

ბაში მომთმინო ქვემარტი ცოდნით შეჭურვილმა გამამეწიეროს მამული, აღმალლოს ნიადაგის აღმოცენების ძალა, დაზღოს მკვიდრი საძირკველი უმაღლესის კაცობრივის ცხოვრებისათვის და მით შეიქმნეს თანამემწედ საზოგადო წარმატებისა?

რა სიტყვით შევამკო, რა ვუთხრა იმ მეურნეობას, რომელსაც ამისთანა მდიდარ ქვეყანაში, როგორც ჩვენი სამშობლოა, არ შეეძლოს ერს დაუცვას ყოველ წლივი მოსავლის მცირედი ნაწილი! მართალია, კაცს არ ძალუძს ბუნებითი ძალის სრულიად დამორჩეობა, მაგრამ მას ხომ შეუძლიან წინააღმდეგ, ებრძოლოს ავთა ბუნების ძალთა და საკეთილოდ მოიხმაროს მისი სასარგებლო ძალნი. ამ ქამად კი მეურნეობა ჩვენში იმდენად მარტივია და იმდენად უმცრობის

უბედურად ჩვენდა, აქამომდე ამისთვის ჯეროვანი ყურადღება არაფერს მიუქცევია და ისი ხმის გამცემი არაფერს გამოჩენილა. რა უნდა იყოს ამის მიზეზი!

სწორე მოგახსენოთ, ღმერთმა რომ დღე მისცეს ამას, ამ ცოტა ხანში ეს განდგება პატარა მეფე სურამისა. სხვა რა უნდა ვეფიქროთ იმ კაცზე, რომელიც არ ემორჩილება არავითარ წესდებას და მოქმედებას მხოლოდ ისე, როგორც თვით ჰსურს.

წინედ კიდევ არაფერი უჭირდა ამ დალოცვილს და რა კი დარწმუნდა, რომ მისი ხმის გამცემი არაფერა ჩნდება, ბურთიც ხელში უჭირავს და მოედანიც. წინად რომ ხალხს იბარებდა ცხრა საათზე და თვითონ პირველზე ანუ ორის ნახევარზე გამოდიოდა, ეხლა სამხედრო ძინვლად რომ გამობრძანდეს კამერაში. იყიდა, არ ვიცი, თუ უფეშქეში ვიღამაც, ერთი იორლა და ხან ალთას არის და ხან ბალთას... ღვანან დილის ცხრა საათზე მოჩივარ-მოპასუხენი და შეჭყურებენ მის კარებს ზეციურ მანანასავით. მომეტებული ნაწილი ხალხისა გამოდის მომთმინებლად და უკანვე ბრუნდება, ან არა და შედიან იქვე დუქანში, რომელიც სულ ათ ნაბიჯზე იმყოფება სამჯაგროდამ, და ითბობენ დღინით და უფრო მომეტებულად არაყით სიცივისაგან გაყინულ გულ-მუცელს. მელუქნეს კი ძალიან მოსწონს მოსამართლის ყოფა-ქცევა და კიდევაც არწმუნებს გლეხ-კაცებს, რომ „კანუნში ასე სწერიაო“. მაგრამ აბა ახლა გლეხების ტიტველ-შიშველ ბავშვებსა ჰკითხონ, იმათ რაღა უწერიათ იმ სიცივისაგან აწიწილაკებულ კანკებზე!

ზამოსვლას ან ახლა ვინა ჩიოდა, როცა უნდოდა, მაშინ გამოსულიყო კამერაში, ნეტავი გლეხ-კაცების ცემატყებას არ მიხვეულიყო ეს დალოცვილი.

ამ ორიოდღე დღის წინედ, ბ-ნ ძაფაფოვმა მიამტვრია თავ-პირი ვილაც ბიგა ლომსაძეს. საქმე ასე მოხდა: ბ-ნი ძაფაფოვი არჩედა ამ გლეხ-კაცის, ბიგა ლომსაძის და ა. სამათ-

ნიადაგზე დაფუძნებული, რომ მასში ბუნება სრულ შემძლებლად, თავისუფალ მომქმედად ფარფარობს.

მე ვამტყუნებ ჩვენს მემამულეთა თაფიანთ მოქმედებაში და მათ ვსახვებ ჩვენი მეურნეობის დამცირების მიზეზად იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ მათს უკეთესის მოქმედების შეძლებასზე. ჩვენი გლეხ-კაცი კონსერვატორია, ძველის წესის მიმდევარი, და თან უმეცარი. იმისაგან ვერ მოვიტხოვთ მეურნეობის წარმატებას, გაუმჯობესებას. იმას შეუძლიან მხოლოდ კარგი და სასარგებლო მაგალითის ნახვით ნელ-ნელა დასტოვოს თავისი მამა-პაპური ცოდნა, რომელიც მას ჩვეულებად გადაექცა და შემდგომში მიიღოს ახალი, უკეთესი მიწის შემუშავების წესები და სხვა აგრონომიული ცოდნა, რომელსაც იგი მიითვი-

შეგოვის საქმეს. (მის სამათაბეგოვი ვახლავთ, რომელიც ამას წინად „დროების“ 259 №-ში ჰყვანდა მოხსენებული ბ-ნ მანძე). შკანსკელს პირველისთვის ლაბე დაექცია, რაზედაც უჩიოდა.

ამ დროს, რაღაცა საუბედუროდ, მოსამართლემ ნალობარის ნახვა მოინდომა. მაიძღვანა მოჩივარ-მოპასუხე და მიბძანდა ნალობართან. (ნალობარი სულიდან სულ ოც ნაბიჯზედ არ განდებდათ); დაიწყო მოსამართლემ ინჯვა ლობისა, სახლის საწვეთებისა და ბოლოს უეცრად რაღაცაზე შეფხუკიანდა, დაიბრუნა ჯოხი და ერთი თუ ორი ამ შენ მოჩივარს, — აბა რაზედ უჩივია!

ამის შემდეგ ბ-ნი ძაფაფოვი გაექანა სამჯაგროსკენ და დამარცხებულ ლომსაძე კი შეიტანეს იქვე სახლში. ბაჯაგრებულს მას აქვთ სამსჯავროსკენ აღარ გამოივლია. ამბობენ ერთსაც იქ უთავაზო და რამდენად მართალია არ ვიცი...

ჭიანს.

ახალი, 4 დეკემბერს. შემთხვევით გადმოვიარე ახალ ნაკეთებ ჩალაუბნის გზაზედა და ვნახე მრავალი მუშა, რომელიც იმ გზას აკეთებდა. სადაურები ხართ-მეტეი ვკითხე. მიასუხეს, მელავის მაზრიდანა ვართო და ამასთანავე შემომჩივლეს:

— მს დალოცვილები, გზას აქ გვაკეთებინებენ და ჩვენი მომბორის გზა კი ამაზედ უკეთესია; ვილუბებითო, ბატონო: სიცივისაგან ხალხი და საქონელი დაგვიზარადა, გულ-შემატკივარი პატრონი ჩვენ არაფერა გცუავს, ხმა ხომ არ ამოგვეღებინება ამაზედ და წინააღმდეგნიც ვერ შევიქნებით და ვართ, ვითა პირუტყენი; მეტი ჩარა არ არის, უნდა თავში ქვა ვიწყვიტოთ და გავაკეთოთ, თუნდ რომ სულ გავსწყდეთ დიდი და პატარა.

ვერ წარმოიდგენთ ამ მუშების ოხერას და კენესას.

— მქვენ მაზრის უფროსს თქვენს თხოვნაზედ და ზარალზედ არაფერი განკარგულება არა მოუხდენია-რა?..

სებს ხელოვნურად და არა ხელოვნურად.

მებატონენი-კი გონიერებით საკმაოდ მომზადებულნი, ადვილად მიხვდებიან ჩვენი მეურნეობის ნაკლებეფანებას; მათ შეუძლიანთ (და საკმაო ფართო გზაც აქვთ ვახსნილი) შეუდგნენ მეურნეობის გაუმჯობესობას მცირედი რითიმე მაინც და ამ სახით განდენ გლეხ-კაცობის ღირსეულ მაგალითად. შევლა ქვეყნებში მეურნეობის გაუმჯობესება იწყობა მებატონეთაგან და ყველგანვე გლეხ-კაცის მისაბაძაფი მაგალითი მებატონის მოქმედებაა.

აქედამ სჩანს რაოდენი მოვალეობა აწევს ჩვენს მებატონეთ, ე. ი. კეთილშობილთ. მათგან დამოკიდებულია ერის ბედი და იღბალი, მისი წინეობითი სიმაღლე და მიწასთან გასწორება.


— რას გვიბრძანებთ ბატონო, ღმერთმან ადგილობრივ ჩვენი ჩალნიკი, თუ გვატრონობს რასმეს, კიდევ ისა: მამა შეიღურად გვაჩივებს, კუთილ გზას გვიჩვენებს, გავსწავლის და ყოველს საქმეში შემწეობას გვაძლევს, მაგრამ იმისი გაგონი ვინ არის! ჩვენი ნაჩალნიკი ეხლაც ჩვენთანა ბრძანდებოდა და ადგივითქვა, რომ მთელისში მიედივარო და უნდა უმაღლეს მთავრობას ნება გამოვსტხოვა, რომ ამ სიცივისაგამო განგათავისუფლოთო მუშაობიდაშაო.

შემდეგ ამისა მე გამოვეშურე ჩემს გზას ზემო ძახეთისაკენ და, რა გამოვიარე სრფ. შრიათუბანსა, აქ ერთი რაღაცა ყატყატი და ყვირილი შემომესმა: სოფლის ხალხის ყრილობა იყო. ბუღმა აღარ მომითმინა და მიეუახლოვი ყრილობას, რათა შემეტყო მიზეზი ამ აჩქარებულ და აღშფოთებულ ხალხის ბაასისა. მე შემომესმა სიტყვები: „სკოლა არ გვინდა, არა! შევლამ უნდა გამოვიყვანოთ იქიდან ჩვენი შეილები“. აქვე იღვა ერთი გაცალკეებული გლეხების გუნდი, რომლიდანაც აჩქარებითი მოლაპარაკე მღვდელი სხვებისაგან აშკარად გამოიჩინოდა; იგი რაღაცას ეჩხუბებოდა ერთ მაღალ-მაღალ კაცს და თავის მხარისკენ ხელის ჩაგლით ეწეოდა. ამათ ზედვე მიატანა ერთმა მოსამსახურე ჩინოვნიკმაც და ჰკითხა: — რა ამბავია? მამასახლისმა მოახსენა: — ბატონო, ამდენი ლაპარაკით და ჩაგონებით თავი მეტკინა, წინაუ ღრიათუბნელები მსურველნი და თანახმანი იყენენ თავიანთ შეილების სკოლაში აღზრდაზე, ბავშვები სწავლას ბეჯითად ეკიდებოდნენ; მაგრამ ეხლა კი საუბედუროდ ესენი, ურიათუბნელები უარსა ჰყოფენ: არც სწავლა გვინდა და არც ფულის მიმცემი ვართო; ფულიც იმათ აძლიონ, ვისი შეილებიც დაიარებიან სასწავლებელადო! შეილებიც კი გამოიყვანეს სკოლიდან და აღარც ატარებენ. მე ამაზედ, განაგრძელა მამასახლისმა, გუშინვე რაპორტით მოგახსენე მელავის მაზრის უფროსსა და მოველოდები მისგან ჯეროვან განკარ-

ამასთანვე სრულს იმდეს ვაცხადებ, რომ ქართველნი მებატონენი, კარგად გაიგებენ — რას ნიშნავს მამულის უყურადღებობა და დატვირთვა მისი ვალითა, რომელიც იმავე მამულს არ მოეხმარება, ვასაუმჯობესებლად, შემდეგში მეტს ყურადღებას მიაქცევენ მეურნეობას, იმავე ოსტატურად ხელს მოჰკიდებენ გუთანს, როგორადაც ხათი წინაპარი მტრის საშიშარ ხმალს მელავნურად ატრიალებდნენ და შეიქმნებიან იმ საქებურ მაგალითებად, როგორსაც მათგან ერი თხოულობს.

მერწმუნეთ, გუთნით გამაგრებულ ხელს ვერა-რა ხელი ვერ შეედრება, ვერც კუთილშობილობით და ვერც სიმძლავრით!

ო. სვიმონ ვეზირავი.



გულეზასა. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, ბატონო, თქვენც ერთი შრომა უნდა გასწიოთ და შემწეობა მოგვეცეთ! აი ამ პატიოსანმა ჩვენი საზოგადოების წევრმა შესწირა სასოფ. სკოლასა თავის ოფლით შეძინებული ფულიდგან ოც-და-თხუთმეტი თუმანი, საწყალი გლეხების შეიღების სწავლისათვის მოსახმარებლად; თუ ამას ფული არ შემოვიწირა, უეჭველია, ჩვენ სკოლა დაგვეკეტებოდა, რადგანაც სკოლის ფულის მოგროვებაზედ იმედი სრულიად დაკარგული გვექონდა.

ამ დროს მოვარდა მღვდელი და შემწირველს ჩხუბი დაუწყო:—სკოლისათვის ფულის შეწირვა ვის გაუგონია? წამოდი, ფული ჩემს ეკლესიას შემოსწირე, ეს უკეთესი სასულიერო საქმე იქნება!

მეორე დღეს მე, საქმისა გამო, ვიმყოფებოდი ოთხთავის მარხის უფროსთან და ამ დროს შემოაღეს მისი კანცელარიის ოთახის კარები და შემოვიდნენ ჩვენი ნაცნობი ჩინოვნიკი, მამასახლისი და ის მაღალ-მაღალი ყოველად პატივსაცემი კაცი. მარხის უფროსი მიესალმა და ჰკითხა მამასახლისს, თუმა წინაღვეც იცოდა. —მე შევიტყე, ვითომ ლაზარია შეიღეს თქვენი სოფლის სასწავლებლის სასარგებლოდ, ფული შეუწირავს, —მართალია ეს თუ არა!... ლაზარია შეიღმა მოახსენა: —მართალი გახლავსო, კნიაზო, მოვიწადინე ეს საქმე და შემდეგისათვისაც არ დავზოგავ ჩემს თავს და ღონისძიებას, ოღონდ ჩვენი სკოლის კეთილ-დღეობა უფალმა ინებოს. მარხის უფროსმა დიდი მადლობა გამოუცხადა ამ კეთილგემს და უთხრა, უმაღლეს მთავრობას ეთხოვ თქვენ დაჯილდოებასაო და იმედიც მაქვს, რომ ჩემი თხოვნაც შეწყნარებული იქნებაო.

შველა ეს შევიტყე, მაგრამ ის კი ვერ გავიგე—თუ რისთვის ემდუროდნენ ურიათუნებლები თავის სკოლასა.

განცხადებანი
ქალაქის
გამგებობისაგან
თფილისის ძალაქის გამგებობა ამითაცხადებს, რომ 21 რიცხვს ამა მდგომარე დეკემბრისა, დილის 12 საათზედ, დანიშნულია ვაჭრობა ავლაბრის საქალაქო მამულის იჯარით გაცემანზედ გაჯის საწარმოებელად, ორის წლის ვადით. გამგებობა სთხოვს პირთა, რომელთაც ჰსურს აიღონ იჯარით ხსენებრილი მამული, მოვიდნენ გამგებობის კანცელიარიაში და შეიტყონ დაწერილებითი პირობანი ამ საქმის შესახებ. (3—2)

ჩინსტოდნი, ზირმა და მსურველებს უნდა იუიღოს ჩაი, ზირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ვეველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქადადლოთ და უტყვიოთ. (100—98)

ისყიდება
25% ნაკლებ მინამ სსკა ალაგას ჩაი, კაკო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუფოკები, ფოდნოსები, პირის-სახანი, კლიტები, სამურველი, ტანისამოსის საკაიდი, კოვჩები, დანები, კაღები, ქადადი, განკეტები, რვეულები, კანდაშები, თოფები, რველველები, კანგები, ზღაშჩები, ვანები, ქამრები, საყუღურები, კლიანკა, უნაგირები, ლაგები, უთაბები, ტახტები, პირისსახრი, ცხვირის-სახრი, ხუჭები, ტუაღების საზანი, დუხები, შარბათი, ციტმატმანგენია, ქინას დვინო, შარტ-ვეინი, სურესი, გონიავი და ათასი სსკ. რამეები, —**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭრობათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გარკანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ.

მომავალს 1882 წელს
საპოლიტიკო და სალიტერატურო კახეთი
„შ რ მ ა“
გამოვა იმავე პრეგანშით და მამართლებით, რეგარტ წრეულს გამოდის.
გაზეთის პროგრამა:
I სტატიები თანამედროვე კითხვებზედ, II ტელეგრაფები, III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები, IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები, V შრონიკა ადგილობრივის თვითმმართველობისა, VI შინაგანი და გარეგანი წერილები, VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი, VIII პრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურისა, IX შევლეთონი: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა-და-სხვა შენიშვნები, X ისტორიული მიმოხილვა ქავეკისის აქეთა მხრისა, XI სამსაჯულო ცნობები და შენიშვნები, XII ცნობათ ფურცელი და განცხადებანი.
ზაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუაოს საგაზეთო ქალაქის ფურცელზედ, ხანდისხან დამატებით.
გაზეთის გამოსაწერი ფასი სსკლში მიცანით და სსკა ქადაქებში გავზანით: ქრთის წლის—შვიდი მანეთი, ნახევარის წლის—ოთხი მან., სამის თვის—ორი მან. და ხუთი შაური.
ხელის-მოწერა მიიღება:
ქ. ქუთაისში: 1) ზაზეთის რედაქციაში, ნემცების ქუჩაზედ, კნინა მატუტაძის სახლში, 2) პ. შ. წულუკიძის სტამბაში, ოფილისის ქუჩაზედ, ქრთის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში.
ქ. თფილისში: შავრდოვის გაზეთის სააგენტოში:
ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თაიანთის მოთხოვნით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.
რედაქტორი თაგ. დიშ. კლ. დადიანი.
(5—4) **გამომცემლები:** თ. დიშ. ე. დადიანი & დიშ. ალ. ნაწარავი.

ქ. 1 მ. 80., და უპირველი სარისის 2 მ.—წონა უქადადლოთ.
თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (choke bore) George Dau-ს ფაბრიკადამ—120 მან. რველველები 4—34 მან. და ბუღდოგის 11—20 მ. ქაღის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ხანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟი, ალბომები ნასკვარ ფასად, ფილტრები და სსკ.
ვეველგან უმრავლესი ამოწევა თოფებისა და რველველებისა თფილისში. (100—51)

ი. მუნადგვის
წიგნის მაღაზიაში
ქუთაისში
მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად საეფო და საქალბო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი საბრწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა და გვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუხიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.
ძალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშითა. (50—34)


ლონდონის მაღაზიაში გამოცემულს ხანის ქვემ დაანსებულს წიგნებსა და გასასყიდლოთ პირველი წიგნებისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებ: თოფებისა, რველველებისა, კლიტებისა, ჭურჭლებისა, კანდაშებისა, დანებისა, კოვჩებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკოსი, დუხებისა, საზონისა, შოკ კებისა, ცხვირ-სახრისა, ქადადისა, კანდაშებისა, კაღებისა, უნაგირებისა, სუგრისის (გემრევი კლეშიკინი შეთისა) და სსკ. სააგენტო მაგინტომის მოსახურავებს გასასყიდლოდ განუტეობს და ბატკურის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ხუჭებისა და წინდებისა ნოტისგამიდამ. ნამდვილი ჭაჩასა გაიარები. (100—54)

ახლად გაღებულს სან. პეტერ-ბურლის საძალბო მოღის მაღაზიაში მივიღეთ დიდ ძალი, ქალის ზემოდან ჩასაცმელები, პალტოები, ტალმები, დოლომანები, კერასები, დაბამბული პლიუშით მოკერილები, ზამთრის ბეწვის შლიაპები და მუფთები. აგრეთვე ვიღებთ ყველა ნაირს შეკვეთას. ქველათფერი უფრო იაფად ისყიდება, ვინმე სხვა ოფილისის მაღაზიებში. მაღაზია იმყოფება არწრუნის ზემო გალერეიაში № № 104, 195 და 196.

იმედი გვაქვს, ოფილისის საზოგადოებამ მიაქციოს ამას ყურადღება. (3—3)

ინგლისის მაღაზიაში

თფილისში **გამგებობა** **მაგინტომის** **ტყე**



ამაგებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუქისა 2 მან., გავზანით 2 მანეთი და 28 კაპ.
იქვე ისყიდება ქინის ზომად თმების გასამაგრებლად, ფასი 1 მან. სხატკები თავის ტკავილის მოსახმარებლად, ტუაღების საზანი, დუხები და სსკ (100—71)

ინგლისის მაღაზიაში
ანწრუნის გადღერეიაში
(Maison de confiance)
შეადრეთ ჩვენი ჩაი ჩაის ვეველგან
— — 1 მ. 10 კაპ.— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 ,, 20 ,, — 1 ,, 60 კაპ.
— — 1 ,, 40 ,, — 1 ,, 90 კაპ.
— — 1 ,, 60 ,, — 2 ,, 20 კაპ.
— — 1 ,, 80 ,, — 2 ,, 50 კაპ.
საუკეთესო 2 მანეთ. — 3 მანეთ.
ჩაის წონა—უქადადლოა, სსკგან გიქადადლოთ. (100—74)